ცნობის ფურცელი

№ 2412 სამშაბათი, 17 თებერვალი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2412

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში კანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

გაზეთის ნომერი ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით 5 კაპ.

ქართული თეატრი

ტელ. № 617.

კვირას, 22 თებერვალს, 1904 წ.
ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება
თავ. ალექს. სუმბათაშვილის ცნობილი პიესა

ღალატი

ისტორ. დრამა 5 მოქმ. ქართველთა ცხოვრებიდან რუსულიდან თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ალ. კარკარაშელი, ნ. დავითაშვილი, ბ. რონელი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გედევანოვი, ვ. გუნია, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, ს. სვიმონიძე, ვ. შალიკაშვილი, ნ. გვარამე, დ. ბაქრაძე და სხვ.

ადგილებს ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად ახალი პიესები: „საქმის კაცი", „სხვის ნაოხარზე", „ცხოვრების გარედ", „ექიმი შტოკმანი", „დარღვეული კერა" და სხვ.

(3—6.—1) ამხანაგობის გამგე ვალ. გუნია.

სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.
სამშაბათს, 17 თებერვალს წარმოდგენილი იქნება

ევგენი ონეგინ

ოპერა 3 მოქმ. მუს. ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი რენე-რადინა, რადიონოვა, სელიუკ, ლელინა, ფედოროვა; ბ-ნი კარჟევინი, სელიავინი, კამიონსკი, ფედოროვი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 18 თებერ. „ფაუსტი"; 19 თებ.—„გუგენოტები". (0—4)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ლ. ივ. ძამოევი.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 10 ს.—11-მდე.

ა. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათამდე.

ა. ზ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

ნრ. ვ. სოგოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ქ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ვ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—9 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

ვ. სოგოლევსკი—ქირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. ზ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეოთხე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა, № 88).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში
ექიმი ს. ი. ბეგიშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთიშვილისა.

კბილის ექიმი
ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე; სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—19)

ქუთაისში
ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა.

(0—6.—54)

პეტრე ლამარტკავა, მიხეილ პეტრეს ძე, ანა და ქსენია პეტრეს ასულნი ლამარტკავანი და დათა იესეს ძე გვაზავა მადლობას უცხადებენ იმ პირთ, რომელთ პირადათ თუ წერილით ნუგეში სცეს პირველს ძვირფასი შვილის, მეორეთ დაუვიწყარი ძმის და უკანასკნელს თვისი სანუგეშო დისწულის ამვროსი პეტრეს ძე ლამარტკავას უდროვოდ დაკარგვის გამო. (1—1)

ქუთაისში
კბილის ექიმი
მ. ი. ბეგიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და 1—3 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთიშვილისა.

ექიმი
ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა სახლი № 46.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვაჩნაძისა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 თებერვალი

პეტერბურგი. გენერალ-მაიორის ფლუგის დეპეშა, 15 თებერვალს გამოგზავნილი პორტ-არტურიდან: „პორტ-არტურში 13 და 14 თებერვალს არა მომხდარა-რა. იაპონელთა ესკადრა პორტ-არტურის ახლო სდგას. ამბავი მოდის ჩინეთის ჯარის მოძრაობის შესახებ მდინარე ლიაოხეს დასავლეთით. ხმა არის, რომ გენერალის მას ჯარი, 10.000 კაცისაგან შემდგარი, გზაზეა ტუნჯოოსა და ჩაოიანის შუა. გაძლიერებულია სინმინტინის რკინის გზის დამცველი ჯარი: ყოველ სადგურზე 40—50 ჩინელი ჯარის კაცია. ჩვენი ცხენოსანი ჯარი კორეას გადავიდა. კორეიელები მას მეგობრულად ეგებებიან".

გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება იმ წესების დამტკიცების შესახებ, რომლებით რუსეთი იხელმძღვანელებს იაპონიასთან ომის დროს. უმთავრესი წესები შემდეგია: 1) იაპონიის ქვეშევრდომთ ნება აქვთ, რუსეთის კანონების მფარველობით, ომის დროსაც იცხოვრონ და განაგრძონ თავისი მშვიდობიანი საქმე-მუშაობა იმპერიის ყველა ადგილებში გარდა იმ ოლქებისა, რომელნიც შორეულ აღმოსავლეთის სანამესტნიკოს შეადგენენ; 2) იაპონიის სავაჭრო გემებს, რომელთაც ომის გამოცხადებამ რუსეთის ნავთსადგურებში მოუსწრო, ნება აქვთ იქვე დარჩნენ საქონლით, გარდა სამხედრო კონტრაბანდისა, იმ დრომდე, სანამ გემებს დატვირთავენ, მაგრამ არა უგვიანეს 48 საათისა ამ წესების გამოცხადების შემდეგ; 3) სანეიტრალო სახელმწიფოების ქვეშევრდომთ ნება აქვთ დაუბრკოლებლივ განაგრძონ სავაჭრო მიმოსვლა რუსეთის ნავთსადგურებსა და ქალაქებში იმ პირობით-კი, რომ დაიცავენ იმპერიისა და საერთაშორისო უფლების კანონებს; 4) სანეიტრალო ვაჭრობის შესახებ შემდეგი წესები უნდა იქნას დაცული: 1) სანეიტრალო სახელმწიფოს გემს ნება აქვს იაპონიის საქონელი ზიდოს გარდა სამხედრო კონტრაბანდისა; 2) თუ სანეიტრალო სახელმწიფოთა საქონელი, გარდა სამხედრო კონტრაბანდისა, იაპონიის გემებს მიაქვთ, ამ საქონელს რუსეთი არ წაართმევს; 3) ნავთსადგური მაშინ ჩაითვლება შეკრულად, თუ საკმაო რიცხვი გემებისა შემოარტყმენ ალყას და მართლა შეჰკრავენ ნაპირზე მისასვლელ გზას; 4) სამხედრო კონტრაბანდის გადაზიდვის გარდა, სანეიტრალო სახელმწიფოების გემებს აკრძალული აქვთ: მტრის ჯარების გადაზიდვა, გადატანა მტრისთვის წერილებისა და დეპეშებისა, მტრისათვის გემებისა და ტრანსპორტების მიყვანა. სანეიტრალო გემები, რომლებზედაც სამხედრო კონტრაბანდა ან სხვა აკრძალული საქონელი აღმოჩნდება, დაპატიმრებულ იქნებიან.

ლიასანი. 14 თებერვალი. იალუდან ჩინელები იტყობინებიან, რუსეთის ცხენოსან ჯარის მოწინავე რაზმი იალუდან 200 ვერსის მანძილზე წავიდა და იაპონელების მოწინავე რაზმთან შეტაკება ჰქონდა. ყაზახებმა იაპონელების ცხენები დაიტაცეს. იაპონელები დამარცხდნენ და გაიქცნენ. გენერალმა ლინევიჩმა ცხენოსან ჯარს ქვეითა ჯარის კორპუსი მიაყოლა, რათა ჩრდილოეთ კორეიაში გამაგრდნენ. სამხრეთ მანჯურიაში მშვიდობიანობაა. ჯარი რკინის გზით დღეში რამდენჯერმე მოდის. მკვიდრი ჩინელები დამშვიდებულნი არიან და ჩვენს ჯარს დაუბრკოლებლივ აძლევენ ფასით სურსათსა და ცხენებს. ჩინეთის მთავრობა მეგობრულად გვექცევა. მუკდენს ძიან-ძიუნი ავადაა.

მოსკოვი. 14 თებერვალს ციმბირის მსწრაფ-მატარებლით მოსკოვიდან შორეულ აღმოსავლეთს წავიდა პორტ-არტურის კომენდანტად დანიშნული გენერალ-ლეიტენანტი სმირნოვი.

პეტერბურგი. სამხედრო ფლოტის გასაძლიერებლად უმაღლესად დამტკიცებულ კომიტეტის თავმჯდომარე აუწყებს იაპონიის ადმინისტრატიულს, წოდებრივს, სავაჭრო-სამრეწველო, საერობო, საქალაქო და სხვა დაწესებულებებს და აგრეთვე გაზეთების რედაქციებს, რომ მათ ნება აქვთ ჰკრიბონ შემოწირულებანი ფლოტის გასაძლიერებლად. კომიტეტი ამზადებს შემოწირულებების შეკრების ინსტრუქციებს და საკვიტანციო წიგნებს, რომელნიც პირველ მოთხოვნილებისათანავე კომიტეტის კანცელარიიდან გაეგზავნება მსურველს (პეტერბურგი, ადმირალტეისკაია ნაბერ., 8). საკვიტანციო წიგნების მიღებამდე შემოწირულება შეიძლება თავიანთ დავთრებით ჰკრიბონ.

15 თებერვალი

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

ჩიფუ. ვეი-ჰაი-ვეისთან ზღვამ ნაპირზე 50 მკვდარი იაპონელი გამორიყა.

ბერლინი. გერმანიის საკრეისერო ესკადრის გემები, ერთი საკანონერო გემის გარდა, კორეას წყლებიდან წავიდნენ.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 თებერვალი

პორტ-არტური. დანამდვილებით იტყობინებიან, რომ 12 თებერვალს ღამით, როცა „რეტვიზან"-მა ზარბაზნები დაუშინა იაპონელების ნაღმიან გემებს, ერთ გემზე აფეთქება მოხდაო. უკანასკნელ ორ დღეში ახალი არაფერი მომხდარა. დღეს ძლიერი ქარ-ბუქია. ზღვა საშინლად ღელავს, რის გამო იაპონელებს ნაპირზე გადმოსვლა არ შეუძლიანთ.

ვენა. სტუდენტების საზოგადოებამ „სლოვენია"-მ შემდეგის დეპეშით მიჰმართა პეტერბურგის სლავიანთა საზოგადოებას: „ვენის სლავიანთა სტუდენტები—ხორვატები, სერბები, სლავიანები, ბოლგარელები, ჩეხები და რუსები გულითად სიმპატიას უცხადებენ რუსეთის ერს, სლავიანთა ინტერესების მოწინავე დამცველს და უსურვებენ მას გამარჯვებას ყვითელ ტომთან ბრძოლაში."

პეტერბურგი. 15 თებერვალს ბარონ შტიგლიცის მუზეუმის სადგომში დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის უავგუსტოესს მფარველობის ქვეშ გაიხსნა ხელოვნების გამოფენა დაჭრილ და ავადმყოფ ჯარის კაცთა სასარგებლოდ.

14 თებერვალს დიდი მთავარი კირილე ვლადიმერის ძე შორეულ-აღმოსავლეთს წავიდა.

15 თებერვალს დიდის მთავრის ვლადიმერ ალექსანდრეს ძის სასახლის ეკლესიაში პარაკლისი გარდაიხადეს და გზა დაულოცეს შორეულ-აღმოსავლეთში მიმავალს დიდის მთავრინას მარიამ პავლეს ასულის სახელობის სასანიტარო რაზმს.

პორტ-არტური. (საკუთარ კორესპონდენტისაგან). 14 თებერვალს გამოცხადდა კომენდანტის, გენერალ სტესელის ბრძანება: „პორტ-არტურის ციხის სახელოვანნო დამცველნო და ოლქის მცხოვრებნო! თქვენ მოგმართავთ შემდეგის სიტყვით: ის დაჟინება, რომლითაც იაპონელებს სურს ჩვენის ციხისა და ნახევარ კუნძულის ნავთ-სადგურების დაპყრობა, გვიჩვენებს, რომ მათ განუზრახავთ ან დაიპყრონ ნახევარ კუნძული, ან არა და, თუ ეს არ მოხერხდა, ჩვენი რკინის გზა დაანგრიონ და წავიდნენ. გახსოვდეთ, რომ პორტ-არტურის აღება იაპონელთ საეროვნო სასახელო საქმედ გაუხდიათ. სცდება ჩვენი მტერი, როგორც უკვე მრავალ-ჯერ შესცდა. ჯარმა ეს უკვე იცის, მხოლოდ თქვენ, მცხოვრებთ, გიცხადებთ, რომ უკან არ დავიწევთ; ჯერ ერთი იმიტომ, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე უნდა ვიბრძოლოთ და, როგორც კომენდანტი, უკან დაწევის ბრძანებას არ გავცემ; მეორეც იმიტომ, რომ წასასვლელი გზა აღარა გვაქვს, უფრო მხდალთა ყურადღებას ამ გარემოებას მივაქცევ და ვურჩევ მათ, შეიგნონ სიკვდილამდე ბრძოლის საჭიროება. ადამიანი, რომელიც ამით გაიმსჭვალება, საშინელია; იგი ძვირად გაჰყიდის თავის სიცოცხლეს; ხოლო ვინც ბრძოლას გაექცევა, თავს მაინც ვერ იხსნის; წასასვლელი გზა არა გვაქვს: სამის მხრიდან ზღვა გვარტყია, მეოთხიდან—მტერი. უნდა ვიბრძოლოთ; მხოლოდ მაშინ გაბრუნდება მჩვენი შერცხვენილი მტერი და არასოდეს არ დაივიწყებს რუსების გმირობას. დარწმუნებული ვარ, არც ერთი რუსი არ იფიქრებს უკან დაწევას და თავგანწირვით იბრძოლებს. გახსოვდეთ ეს! საუკუნო ხსენება ბრძოლაში მოკლულთ და საუკუნო დიდება ცოცხალთ!"

საშინელ ქარ-ბუქის მიუხედავად წასულ ღამეს ისევ სჩანდა იაპონელების მხვრავ გემების სამხედრო ფანრები.

„ტიანძინის კურიერ"-ი იტყობინება: თუმცა იაპონელები თავიანთ ზარალს მალავდნენ, მაგრამ ნამდვილად ვიცით, რომ დაუზიანეს ჯავშნიანი გემი „იაშიმა" და კრეისერები „ასამა" და „ტოკიმა", რომელნიც შესაკეთებლად ნაგასაკში წაიღეს. ესევე გაზეთი იტყობინება, 60.000 იაპონელი ჯარის კაცი გენზანთან გროვდება და მანჯურიაში შესასვლელად ემზადება. ჩინელი ჯარების გაგზავნა საზღვარ გარედ 21 თებერვალამდე გადიდო. თავადმა ცინმა იაპონიის ელჩი პეკინში ინახულა და სთხოვა, ზომები მიიღეთ, რომ ჩინეთში მცხოვრები იაპონელები არ

ავრცელებდნენ ცრუ ხმებს; ერთ კვირაზე მეტია, რაც ამისთანა ხმებს ავრცელებენ. ამგვარ ქცევას შეუძლიან ჩინელები ევროპიელთა წინააღმდეგ აალელვოსო.

„ნოვი კრაი“ დაწვრილებით ცნობებს სწერს 27 იანვრის „ნოვიკ“-ის მამაცურ იერიშის შესახებ. აღმოჩნდა, რომ იაპონიის ერთი ნაღმიანი გემი აფეთქებულია, მეორე დაღუპულა. 13 თებერვალის ბრძოლაში იაპონელების მხრივ ნაღმიან გემების გარდა მონაწილეობას ღებულობდა ექვსი ჯავშნიანი გემი, 6 კრეისერი, 4 კრეისერი მეორე ხარისხისა და ორი ავიზო, იაპონიის გემებმა თითქმის ერთ და იმავე დროს მიიტანეს იერიში ჩვენ კრეისერებზე, სიმაგრეებზე და ნაღმიან გემებ „ბეზსტრაშნი“ და „ვნუშიტელნ“-ებზე. ჩვენ ორი კაცი დაგვიჭრეს.

ხარბინი (საკუთარ კორესპონდენტისაგან). ქალაში მშვიდობიანობაა. ჩინელები ხალისიანად მუშაობენ და სანოვაგე მოაქვთ. პორტ-არტურზე იერიშის მოტანის პასუხად აქაური რუსის საზოგადოება შეუდგა შემოწირულებათა შეკრებას კრეისერების საყიდლად. წითელი ჯვრის საზოგადოება სანიტარულ რაზმს ამზადებს და საავადმყოფოებისათვის საჭირო საცვალს ჰკერავს. მეომართა ცოლები მთელ ღამეს სხედან და მუშაობენ. ადგილობრივი კომიტეტი საავადმყოფოს აარსებს. გაიხსნა ღამის თავ-შესაფარი და უფასო საავადმყოფო 15 დაჭრილთათვის.

ლონდონი. (საკუთარის კორესპონდენტისაგან). ინკოუში მცხოვრებნი უცხოელები იტყობინებიან, იაპონიის ფლოტს ბრძანება მოუვიდა, 17 თებერვალს უთუოდ იერიში მიიტანეთ და პორტ-არტური აიღეთო.

გირინის ციანძუინი, ჩენ-ზუნი 13 თებერვალს გარდაიცვალა.

ჩინეთის ჯარის მოგროვება მუკდენიდან დასავლეთით, გოუბიანძისა და სინმინტინის რაიონებში ძალიან საშიშოა. ჩინეთის ჯარს სამხედრო სურსათი მოაქვს და სადარაჯო რაზმებს აძლიერებენ. მცხოვრებნი ზოგან საიმედო არ არიან, ზოგან სანოვაგეს არ ჰყიდიან.

გენერალმა მიშჩენკომ ყაზახთა რაზმით კასანს მიაღწია. დღეს მას პიენიანში მოელიან. ჯარის კაცნი და ცხენები სურსათის მხრით უზრუნველ ყოფილნი არიან. ჯარი კარგ გუნებაზეა. კორეის მოხელენი გარბიან და იაპონელებს რუსეთის ჯარის მოძრაობას აცნობებენ. ყაზახებმა ჩრდილოეთ კორეიაში ტელეგრაფი ხელში ჩაიგდეს. ყაზახთა რაზმის სარდალმა ლინევიჩმა ქვეითა ჯარის კორპუსი გააყოლა. იაპონიის მაიორი ტოგატაცუზირო და ხუთი ჟანდარმი, რომელნიც იჩეუში დაატყვევეს, ლიაოინში მოიყვანეს.—აქ ქარბუქია; დიდი თოვლი მოვიდა და ყინვაა. რკინის გზა კარგად ასრულებს საქმეს; ჯარი შეუწყვეტლივ მოდის; ჯარის კაცები ჯანსაღად და კარგ გუნებაზე არიან.

ლონდონი. („რეიტ. სააგ.“). იაპონიის საელჩომ ტოკიოდან მოსული ოფიციალური დეპეშა გამოაქვეყნა. ამ დეპეშის თანახმად რუსის ცხენოსანი მზვერავი რაზმები პენიანის მახლობლად გამოჩნდნენ.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). იმ გემებზე, რომელთაც პორტ-არტურის ნავთ-სადგურის შესავალი უნდა შეეკრათ, სულ იყო 10 იაპონელი აფიცერი და 67 ჯარის კაცი. სავაჭრო ფლოტის მეზღვაურები წინადადებას იძლეოდნენ, მოგეხმარებითო, მაგრამ წინადადება მიღებულ არ იქმნა. იაპონელებს ეგონათ, რომ ხსენებული აფიცრები და ჯარის კაცები დაიღუპნენო; იმ გემებზე არც ზარბაზნები და არც ფარნები არ იყო. წინა გემის გვერდი ყუმბარით იყო გახვრეტილი; მაშინ დანარჩენი გემები ჩრდილოეთ აღმოსავლეთისაკენ წავიდნენ; ყუმბარა მოჰხვდა გემს „ბუშიუმარუ“-ს, რომელიც ჩაძირა. დანარჩენ ორმა გემმა მოახერხა და ნავთ-სადგურის შესავალში შევიდა. ერთი „რეტვიზან“-ს მიუახლოვდა, მეორემ „რეტვიზან“-ს აღმოსავლეთიდან მოუარა. ეს ორი გემი ააფეთქეს და ჩასძირეს; მეზღვაურებმა ნავებით უშველეს თავს. რუსებმა ამათ ისე საშინლად დაუშინეს ზარბაზნები, რომ ნავები იძულებულ იყვნენ დიდხანს ნაპირის გაყოლებაზე ევლოთ და მხოლოდ მერე მივიდნენ იაპონიის ესკადრასთან.

ნიუ-ჩუანი. („რეიტ. სააგ.“). იაპონელების უკანასკნელ თავდასხმის დამსწრენი ამბობენ, რომ ოთხშაბათს 19 კაცი, რომელნიც იაპონიის გემებზე იყვნენ და სამოქალაქო ტანისამოსი ეცვათ, ნაპირზე გადმოვიდნენ, სადაც დატყვევებულ იქმნენ. რუსეთის კრეისერები „ასკოლდ“-ი და „ბაიან“-ი იაპონიის ფლოტს ჯერ მიუახლოვდნენ და მერე უკანვე დაბრუნდნენ, ალბად, უნდოდათ იაპონელები ნაპირთან მოეტყუებიათ. ქალაქში იაპონელთა ორი ყუმბარა გასკდა. კრეისერი „ნოვიკ“-ი შეაკეთეს. კრეისერი „პალადა“ დოკში შეიყვანეს.

პეტერბურგი. იმიერ კავკასიის შეიხ-ულ-ისლამმა გაუგზავნა მაჰმადიანებს მოწოდება, რომელსაც მეჩეთში წაიკითხავენ. მოწოდებაში, სხვათა შორის, ნათქვამია: „რუსეთის უმაღლეს წინამძღოლის მოწოდებას გულის სიღრმიდან პასუხი მიეცით და თავხედ იაპონიას როგორც ერთი კაცი მიესიენით. სამშობლოს დახსნისათვის ყოველივეს გაწირვა რუსეთის ყველა ერთგულ ქვეშევრდომის წმინდა მოვალეობას შეადგენს. მაჰმადიანებო! თქვენი სამშობლო რუსეთი, რუსეთის მთავრობა მამობრივი ზრუნვით გეპყრობათ და ისე გიყურებთ, როგორც რუსეთის ერთგულ შვილებს. მოვიდა დრო, როცა უნდა დაამტკიცოთ, რომ რუსეთის მთავრობა ამაში არა სცდება. მოიგონეთ, რომ 25 წლის წინად თქვენი მამები და ძმები რუსეთის დროშების ქვეშ მამაცურად იბრძოდნენ თავიანთ ერთმორწმუნე ოსმალებთან. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის ჯარის რიგებში თქვენც ჩასდგებით და რუსეთსა და რუსეთის იმპერატორს ერთგულებას დაუმტკიცებთ. მხედველობაში იქონიეთ, რომ ყორანში კერპთ-თაყვანისმცემელთ თვით ალაჰმა გარდმოუვლინა თვისი წყევლა, იაპონელები კი კერპთ-თაყვანისმცემელნი არიან.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

16 თებერვალი

ლონდონი. იაპონიის სამხედრო მინისტრმა ტერაუჩიმ უთხრა “ქრონიკლე“-ს თანამშრომელს, რომ რუსეთის ჯარის შტაბი საუცხოვოაო, ხოლო ჯარის აფიცრები შტაბისაზე დაბლა დგანანო. „ტაიმს“-ს ჩემულპოდან სწერენ, რომ უკანასკნელ დღეებში იაპონიის ჯარის მოყვანა შესწყდა. კორეიაში მოყვანილ ჯარის რიცხვი 20,000. ჰფიქრობენ, რომ წვრილი რაზმები მაინც მოჰყავთ ხაჯუდან სამხრეთისაკენ, საიდანაც აზრადა აქვთ ჩრდილოეთისაკენ წავიდნენ იმავე დროს, რა დროსაც უმთავრესი ძალა დაიძვრის პეკინის გზით, რომ შეხვდნენ ხოანჩასუს მიდამოებში. ხმაა, რომ იაპონიის რაზმი 8000 კაცი არტილერიით სეულიდან გავიდა და გასწია ჩრდილოეთით პხიონიანისაკენ. ჰფიქრობენ, რომ საერთო პლანი იაპონელებისა ასეთია: მოერიდონ კორეიაში აქტიურ მოქმედებას, მანამ პორტ-არტურთან საქმეს არ დააბოლოვებენ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხედრო მოქმედება. „მორნინგ ლიდერ“-ი იუწყება: 10 ათასი იაპონელი გაჩქარებით მიდის მდინარე იალუსაკენო.

რუსულ გაზ. „კოტლინ“-ში (კრონშტადტში გამოდის) დაბეჭდილია: ზოგიერთი ჩვენი თანამშრომელი ჰფიქრობს, რომ 27 იანვარს იპონელებმა კორეის გარდა, ჩინეთშიაც გადაიყვანეს ჯარი შანჰაი-გუნსა, ან სხვა ნავთ-სადგურებს ახლოო. ამის შემდეგ იაპონელი ჯარი მშვენიერის გზით ცინჯოუბოდუნესკენ გაემართა იმ აზრით, რომ მუკდენსა და რუსის ჯარს უკანიდან მოექცესო.

იაპონელ პოლკოვნიკს სატარას წარსულ დეკემბრის გასულს უთქვამს ნიუ-იორკში: თუ იაპონიის ფლოტი ზღვაში გაიმარჯვებს, იაპონიის ჯარი სამს თვეზე მივა ხარბინამდეო. („ნ. ვ.“)

ლონდონიდან დეპეშით ატყობინებენ „ნოვოსტი“-ს: იაპონელმა მილიონერმა ოკურამ სამხედრო მოქმედებისათვის თავისი 200 ათას გირვ. სტერლინგად (ორ მილიონად) ღირებული მუზეუმი შესწირა იაპონიის მთავრობასო.

ვეი-ჰაი-ვეიდან დეპეშით იუწყებიან: კორეიაში ბევრი ინგლისელი აფიცერი მოვიდა ვითომც და სამხედრო მოქმედების სათვალიერებლადო. („ნ. ვ.“)

რუსეთის სამხედრო პლანი. ჩვენ მოხსენებული გვქონდა, რომ რუსები თავის ჯარს ხარბინში უყრის თავსაო. ზოგიერთ გაზეთის აზრით, ეს ამბავი უკან დახევას ჰნიშნავს. ფრანგულ გაზ. „მატენ“-ის კორესპონდენტი იუწყება ლონდონიდან: მცოდნე ინგლისელი სამხედრო წრეებს ეს სულაც არ მიაჩნიათ უკან დახევად. კორესპონდენტი სწერს: „რუსეთის ჯარი ამ ჟამად უსათუოდ ხარბინში უნდა დაბრუნებულიყო. პორტ-არტური მეტად შორსაა და მეტად ვიწრო ნახევარკუნძულის ბოლოში მდებარეობს, ამიტომ პორტ-არტური სამხედრო მოქმედების ბაზად არ გამოდგება, მით უმეტეს რომ იაპონელებს ყოველს წამს შეუძლიანთ ამ ქალაქს გზები შეუკრან. ჯერ კიდევ ორის თვის წინად გაზეთებში ცნობა იყო დაბეჭდილი, რომ ადმირალი ალექსეევი პორტ-არტურიდან ხარბინში მიდის და თავის მთავარ-შტაბს იქ დააბინავებსო; ამას გარდა, ორი თვის წინადვე იყო გამოცხადებული, რომ პორტ-არტურს აღარ გაამაგრებენ და რაც ფლოტი დარჩა, სულ ვლადივოსტოკის გამაგრებას მოანდომებენო. ამიტომ რუსეთის ჯარი ჯერ ხარბინში მოიყრის თავსა და მერე აქედან სამხრეთისაკენ გაილაშქრებს. არაფერი გასაკვირველი არაა, რომ ადმირალი ალექსეევი და იმისი მთავარი შტაბი პორტ-არტურსა სტოვებენ და ხარბინში მიდიან ჯარის ყურის საგდებლად. პორტ-არტურს კი ფლოტის უფროსიც მოუვლის. („რ. ვ.“)

იაპონიის სამხედრო მომზადება. ერთ ფრანგ ადმირალს შემდეგი უთქვამს ფრანკულ გაზ. „დეპეშ დე ტულუზ“-ის თანამშრომლისათვის: „ჩინეთ-იაპონიის ომის დროს შორეულ-აღმოსავლეთს ვიყავ და იაპონიის ჯარი კარგად გავიცან. იაპონიის ჯარი და ფლოტი მშვენივრად მომზადებულია საომრად. სრული ექვსი წელიწადია საომრად ემზადებიან და მეტად მშვენიერი სამხედრო პლანი აქვთ შედგენილი. ომის დროს იაპონელები ერთს ნაბიჯს არ გადასდგამენ ტყუილად, ერთს საათს არ დაჰკარგავენ უბრალოდ. ლაშქრობის დროს ისე მარდადა და სწრაფად ივლიან, რომ მთელს ქვეყნიერობას გააოცებენ. 1894 წ. ომის დროს, როცა იაპონელებმა სეული დაიჭირეს, იქ ვიყავ. შემოვიდნენ თუ არა

ფელეტონი

პირველი ევროპიელები იაპონიაში.

ძველი ბერძენი, მუდამ მოძრავი და ცნობის მოყვარე, ძალიან ბევრს მოგზაურობდა, ბევრ ქვეყანასა და ხალხს გაეცნო, მაგრამ, როგორც სჩანს, იაპონია და იაპონელები არა-თუ არ უნახავს, მათი ამბავიც არ გაუგონია. ალექსანდრე მაკედონელმა აზიის დიდი ნაწილი მოვლო თავის მხედრობით, მაგრამ არც ერთ იმ დროის წყაროებიდან არ სჩანს, რომ რაიმე წარმოდგენა ჰქონოდა იმ დროინდელ ხალხს იაპონიაზე.

რომაელებმა მთელი იმ დროინდელი „მსოფლიო“ დაიპყრეს, მაგრამ იაპონია მაშინ არ იყო ამ მსოფლიოს ნაწილი.

საბერძნეთიცა და რომიც დაეცა. დასავლეთ ევროპაში ბარბაროსები გაბატონდნენ, ძველი კულტურა თითქმის სრულებით გაჰქრა, რომის ქვეშევრდომი უფრო-და-უფრო გაველურდა. ასეთ პირობებში ძველი ცოდნაც აღარ იყო, თორემ ახალს აქ ადგილი სად ექნებოდა.

ბიზანტიის იმპერია მეთუთხმეტე საუკუნის ნახევრამდე არსებობდა, მაგრამ ბიზანტიელი მცირე აზიას არ გაშორებია; იგი მოწყვეტილი იყო ალექსანდრეს ძველ საასპარეზო ადგილებსაც და მას არ შეეძლო ახალ ხალხებს გასცნობოდა.

სამაგიეროდ მეშვიდე საუკუნიდან საისტორიო ასპარეზზე ახალი ხალხი გამოვიდა: მაჰმადიანობით გაერთიანებული არაბები შესანიშნავის სისწრაფით გაძლიერდნენ და იმ დროს, როცა თითქმის მთელი ევროპა ბარბაროსობის ბნელ ბურუსში იყო გახვეული, არაბების სახელმწიფოებში აყვავებული იყო ფილოსოფია, ლიტერატურა და თითქმის ყოველგვარი მეცნიერება.

პირველი ცნობა იაპონიაზე არაბთა გეოგრაფებიდან არის მიღებული. იაპონიას არაბების ერთი მწერალი მეათე საუკუნისა „ალნაფუნ“-ს უწოდებს; კორეა „სილა“-ს სახელით არის მონათლული.

არაბების შემდეგ იაპონიას იხსენიებს ცნობილი მოგზაური მარკო პოლო, რომელიც „სიპანგუ“-სა და „ზაპანგუ“-ს უწოდებს ამ ქვეყანას. განთქმულ ვენეციელ მოგზაურს ასე აქვს აწერილი იაპონია: „სიპანგუ აღმოსავლეთის ერთი ქვეყანაა, ზღვაში მდებარე და ხმელეთიდან კარგა დაშორებული; ეს ქვეყანა დიდი კუნძულია; მცხოვრებნი უფრო თეთრის კანისანი არიან და ზრდილნი; სარწმუნოებით კერპის თაყვანისმცემლები არიან. ხალხი ძალიან მდიდარია ოქროთი, რომელიც იქვე კუნძულებზე მოიპოვება. იშვიათია ისეთი ვაჭარი, ამ ქვეყანაში რომ ყოფილიყოს, რადგან ძალიან შორს არის. ამიტომაც დიდძალი ოქრო რჩება ადგილობრივ“.

მარკო პოლოს შემდეგ, მაგელანის მოგზაურობის აღწერაში, ვხვდებით ამავე სახელწოდებას. 1505 წელს პორტუგალიის მეფის წერილში იაპონიას „საპონინ“-ი ჰქვია. ამ წერილით პორტუგალიის მეფე ატყობინებდა ესპანიის მეფეს ფერდინადს, რომ პორტუგალელებმა შეიპყრეს ერთი გემი, რომელზედაც კუნძულ „საპონინ“-იდან მოტანილი სამი ასტრონომიული ვერცხლის იარაღი იპოვნესო. იაპონიის ნამდვილი აღმოჩენა ეკუთვნის პორტუგალელ ფერნაო მენდეს პინტოს: 1542 წელს პინტოს გემი დაზარალდა იაპონიის ახლო და გაბედული მეზღვაური რამდენიმე ამხანაგით ტანგაშიმის ნაპირზე გადავიდა.

სახლში დაბრუნებულ პინტოს ნაამბობმა პორტუგალელ ვაჭრებისა და მისსიონერების ყურადღება მიიპყრო. პირველი მისიონერი, რომელიც იაპონიაში მივიდა (1549 წელს), ფრანსუა ქსავიე იყო. ამ მისსიონერის მოღვაწეობა ნაყოფიერი გამოდგა—ქრისტიანობამ ფეხი მოიკიდა იაპონიაში და როცა ფრანსუა ქსავიე მოკვდა, მისგან გაკვალულ გზას ბევრი მისსიონერი გაჰყვა. ქრისტიანობის გავრცელება საშიშარ მოვლენად მიაჩნდა ამ დროს მეტად გაძლიერებულ მმართველს იაპონიისას ჰიდე-იოშის: იგი ხედავდა, რომ მისსიონერების მოღვაწეობა გზას უკვალავდა იაპონიისაკენ ევროპიელ ერის-კაცებსაც; გარდა ამისა იაპონიის გამგებელს არ მოსწონდა ფრანცისკანელ ბერებისა და იეზუიტების კინკლაობა ერთმანეთ შორის. ამიტომაც 1587 წელს ჰიდე-იოშიმ უბრძანა მისსიონერებს ოცის დღის განმავლობაში იაპონიიდან წასულიყვნენ. მიუხედავად ამ ბრძანებისა 1593 წელს სამი ფრანცისკანელი მისსიონერი ნახეს კიოტოსა და ოსაკაში და სასტიკადაც დასაჯეს—გადაიყვანეს ნაგასაკში და ცეცხლით დასწვეს.

ასეთმა სასტიკობამ ვერ დააშინა ვერც თავგანწირული მისსიონერები და ვერც ახლად ფეხ-ადგმული, მაგრამ უკვე მადა-გაღვიძებული, ევროპაელი ვაჭრები.

1598 წელს, 21 ივნისს, როტერდამიდან (ჰოლანდია) ხუთი გემი წავიდა მაგელანის სრუტესაკენ. ერთი ამ გემთაგანი, რომელზედაც შტურმანად იყო ინგლისელი უილიამ ადამსი, იაპონიაში მივიდა (1600 წელს). უილიამ ადამსი იყო პირველი ინგლისელი, რომელმაც იაპონია ნახა, და ასახელა კიდეც თავისი თანამემამულენი. იგი დიდის ენერგიისა და მტკიცე ხასიათის კაცი გამოდგა და დიდი სამსახური გაუწია ევროპიელებსაც და იაპონელებსაც. სხვათა შორის, უილიამსი პირველი მასწავლებელი იყო იპონელებისა ზღვაოსნობის საქმეში. უილიამსი მოკვდა 1620 წელს იოკუსუკაში, სადაც თავის ცოლთან ერთად (იაპონელი ქალი იყო) დაასაფლავეს. ეხლაც დიდ-პატივსა სცემენ იაპონელები უილიამსის საფლავს—ჩვენებურად რომ ვსთქვათ, იგი წმინდად არის მიჩნეული.

1607 წელს ჰოლანდიელებმა მეორე ექსპედიცია გაგზავნეს დიდ ოკეანესაკენ. ამ ექსპედიციიდან ორი გემი იაპონიაში მივიდა კუნძულ საი-კაი-დოზე, კიუშიუსა და იკის ახლო. ჰოლანდიელ მეზღვაურებმა დააარსეს აქ სავაჭრო საწყობი ფირანდო (ჰირადო), სადაც პირველ სავაჭრო აგენტად იაკობ სპექსი იყო. ჰოლანდიელების მდგომარეობა მეტად ძნელი იყო, რადგან იაპონელები ეჭვის თვალით უყურებდნენ უცხოელებს. ესენი ბევრს ეცადნენ უნდო მასპინძლების გულის მოგებას, სხვათა შორის, ზარბაზნების ჩამოსხმა და მოხმარება ასწავლეს, მაგრამ იაპონელებმა მაინც უბრძანეს ჰოლანდიელებს (1640 წ.) დაუყოვნებლივ დაენგრიათ ახლად აშენებული სავაჭრო საწყობები და სახლები, რომელზედაც საქრისტიანო ნიშნები იყო გაკეთებული. ერთხანს გაძალიანდნენ ჰოლანდიელები, მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქმნენ დაეტოვებიათ ფირანდო და გადასულიყვნენ პატარა კუნძულ

ქალაქში, სულ ორ საათში მთავარი შტაბი სწორედ იმ სადგომებში დადგა, რომლებიც წინდავე ჰქონდა ამორჩეული. მე ძლიერ გამაკვირვა ამ ამბავმა, მაგრამ ერთმა იაპონელმა გენერალმა მითხრა: „რად გიკვირთ? ორის წლის წინადვე ვიცოდი, რომ სწორედ ეს შენობა უნდა დამეჭირა, სადაც ეხლა ვსაუბრობთო“.

სურსათის ზიდვის საქმეც კარგადა აქვთ მოწყობილი იაპონელებს. იაპონის ჯარს უკან არც უზარმაზარი ქარავნები მისდევს, არც სურსათით დატვირთული ვაგონები. ლაშქრობის დროს ჯარს მრავალი მშვენივრად გაწვრთნილი და მარდი მებარგულე მუშა მისდევს. ყოველ იაპონელ ჯარის-კაცს 5-6 დღის საყოფი საჭმელი თითონ მიაქვს: ლაშქრობის დროს იაპონელი ჯარის კაცი დღეში სამ მუჭა ბრინჯსა სჯერდება. წყურვილს ზამთარში იაპონელები დამდნარ თოვლით იკლავენ. აფიცრები მეტად კარგად ექცევიან ჯარის-კაცებს. ჯარის-კაცებიც ყველაფერში ემორჩილებიან თავიანთ უფროსებს. ხშირად მინახავს ბრძოლის დროს, რომ ჯარის-კაცები აფიცრის უბრალო ბრძანებით მეტად საშიშ მიუვალ ადგილებს იჭერდნენ და ასობით იხოცებოდნენ.

იაპონელი მეზღვაურები მეტად ყოჩაღი ხალხი არიან და თავიანთი საქმეც მშვენივრად იციან. მეზღვაურ აფიცრებს თუ ჯარის-კაცებს არაფერი წუნი არ დაედებათ. მეტად კარგად ხმარობენ გემებს. მინახავს, რომ იაპონელი ნაღმიანი გემი რამდენიმე თვე საშინელ ამინდში ზღვაში ყოფილიყოს და არაფერი ზიანი არ მოჰსვლოდეს. ზღვაში რუსეთს მეტად მძლავრი მტერი ეყოლება. მაგრამ იაპონელები ხმელეთზე, მანჯურიაშიაც, საქმეს გაუჭირებენ. ეხლანდელი ომი დიდხანს გასტანს. ბევრი დიდი ბრძოლა და დიდი სისხლის ღვრა მოხდება. რუსეთიც და იაპონიაც უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ბრძოლაზე ხელს არ აიღებენ. როგორც ფრანგი, რასაკვირველია, უფრო რუსეთს თანაუგძნობ, მაგრამ რუსეთს ეხლანდელ ომში მეტად ბევრი დიდი დაბრკოლება დაჰხვდება წინა“. („მ. ვ.“).

რუსის გემ „ბოიარინი“-ს ამბავი. „ნიუ-იორკ ჰერალდ“-ი იუწყება: ის ცნობა, ვითომ რუსის კრეისერი „ბოიარინ“-ი იაპონიის ნაღმიანმა გემმა ააფეთქაო, ტყუილი გამოდგა. „ბოიარინ“-ი „ენისეი“-ვით თავის ნაღმმავე დააზიანა: პორტ-არტურის ნავთ-სადგურის შესავალს ამაგრებდა, ერთს ნაღმს დაეჯახა და დაზიანდაო. ამავე საქმეზე „დეილი მეილ“-ი იუწყება: „ენისეი“-ს დაღუპვის შემდეგ მეორე დღეს „ბოიარინ“-ი მაღლა ამოსულ ნაღმებს ზარბაზანს ესროდა. ამ დროს დიდი ქარიშხალი ამოვარდა, გემი მოიტაცა და ზღვის ნაპირას დიდ კლდეს დააჯახა და ძლიერაც დააზიანა. „ენისეი“ კი ნაღმების ჩაწყობის დროს დაიღუპა. 400 ნაღმი უნდა ჩაეწყო, 398 ჩააწყო კიდეც, მე-399 ნაღმი მაღლა ამოვიდა, „ენისეი“-მ ზარბაზანი ესროლა და ამ დროს სხვა ნაღმს დაეტაკა.“

რუსეთის გემ „მანჯურის“ ბედი. ინგლისურ გაზ. „დეილი ექსპრეს“-ს ატყობინებენ შანჰაიდან: რუსეთის კანონირი გემი „მანჯური“ შანჰაის ნავთ-სადგურში დგას. ჩინეთის მთავრობამ მოსთხოვა „მანჯური“-ს კაპიტანს, ნავთ-სადგურიდან უნდა გახვიდეო, „მანჯური“-ც გავიდოდა, მაგრამ შანჰაის ახლო ვუზანგის ნავთ-სადგურში იაპონიის კრეისერი „აკიტსუშიმა“ დგას და „მანჯურს“ უდარაჯებს: რა წამს რუსის გემი შანჰაიდან გამოვა, „აკიტსუშიმა“ მაშინვე დაეცემა და დაჰღუპავს. ამიტომ რუსის გემმა შანჰაიდან გასვლა ვერ გაჰბედა. ამბობენ, „მანჯური“-ს უფროსი, რუსეთის ელჩი პავლოვი (კორეიაში იყო ელჩად) და ადგილობრივი რუსის კონსული იაპონიის კონსულს ამნაირად მოურიგდნენ: ვიდრე ომი არ გათავდება, „მანჯური“ იარაღს აიყრის და შანჰაიში დარჩება. („რ. სლ.“).

ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი. გერმანული გაზ. „ცაიტ“-ი იუწყება: იქნება რუსეთსა და ინგლისს მალე დავა აუტყდეთ დარდანელის სრუტის თაობაზე. იაპონიას არ შეუტყობინებია ხონთქრისათვის, რომ რუსეთთან ომი დაიწყო. ამიტომ ოსმალეთს ნეიტრალიტეტის გამოცხადება მეტად მიაჩნია. ხონთქარი თანახმაა რუსეთის ნაღმიანი გემები ბოსფორში გაატაროს და თავის ნავთსადგურებში მცირე აზიაში და მეწამულ ზღვაში რუსის ესკადრებს ქვა-ნახშირის დატვირთვის ნება მისცეს. ამიტომ ინგლისმა დარდანელში ერთი კანონირი გემი გაჰგზავნა სადარაჯოდ. თუ რუსის ესკადრა დაინახა სადმე, კანონირის უფროსი მაშინვე კუნძულ ლემნოსზე ინგლისის ესკადრას შეატყობინებს.

ლონდონიდან ჯერ რუსეთის ელჩი გრაფი ბენკენდორფი წამოვიდა, ახლა კიდევ საფრანგეთის ელჩი კამბონი წამოსულა პარიზს. ამბობენ, კამბონი პარიზში თავის კერძო საქმეებზე წავიდა და ისევ მალე დაბრუნდებაო, ლონდონის პოლიტიკოსთა წრეები არაფერ მნიშვნელობას არ აძლევენ ამ ამბავს, მაგრამ ბირჟა მაინც მეტად შეშინდა. კონსოლების ფასები $85^1/_4$-მდე დაეცა, რაც კარგა ხანია აღარ მომხდარა. („ნ. ვ.“).

„ლონდონ ექსპრეს“-ი იუწყება, ინგლისის პირველმა მინისტრმა დაარწმუნა საფრანგეთის ელჩი, ინგლისს გულწრფელად სწადიან ნეიტრალიტეტისა და მშვიდობიანობის დაცვაო. („მ. ვ.“)

„მოსკოვსკი ვედომოსტი“ს პარიზელი კორესპონდენტი იუწყება: პარიზში ყველა ფრანგულმა გაზეთმა გამართა ხელის მოწერა დაჭრილ რუს მეომრების სასარგებლოდ კომბის ოფიციალურ გაზ. „აქსიონ“-ისა და სოციალისტურ გაზეთების გარდაო.

ამერიკა და იაპონია. ამერიკული გაზ. „ივენინგ პოსტ“-ი იუწყება: შეერთებულ შტატებში მცხოვრებმა ებრაელებმა გადასწყვიტეს: ხელის მოწერა გავმართოთ, 3 მილიონი დოლარი (6 მილ. მან.) შევკრიბოთ, ერთი კრეისერი ვიყიდოთ და იაპონიას გავუგზავნოთ ფეშქაშადაო. („ნ. ვ.“)

ამერიკელები აშკარად თანაუგრძნობენ იაპონელებს და დიდ დახმარებასაც უწევენ. იაპონიის ჯარის უმთავრეს დოსტაქრად ცნობილი ამერიკელი ექიმი დოქტორი სენი დანიშნეს. დოქტორ სენი ამ დღეებში მიდის იაპონიაში და თან სხვა ამერიკელი ექიმები და მოწყალების დანიც მიჰყავსო. („რ. ლ.“)

ახალი ამბავი

◆ 14 თებერვალს ტფილისის ქალაქის სკოლების გამგე კომისიის სხდომაზე თავმჯდომარემ თავ. მიქელაძემ აღძრა ლაპარაკი იმის შესახებ, შეუძლებელ მცხოვრებთა ბავშვებს როგორ გაუადვილონ პირველ დაწყებით სწავლის მიღება. როგორც შეკრებილ ცნობებით აღმოჩნდა, პირველ დაწყებით სკოლებში სწავლის მსურველთა ნახევარზე მეტს მიღებაზე უარს ეუბნებიან. თავ. მიქელაძეს საჭიროდ მიაჩნია პირველ დაწყებით სკოლებთან მეორე პარალელური განყოფილებანი გაიხსნას. პარალელურ განყოფილებას წელიწადში დასჭირდება 1060 მან. და ერთ ხანად 350 მან. განყოფილების სადგომის მოსაწყობად. კომისიამ მოიწონა თავ. მიქელაძის წინადადება და დაადგინა, გახსნას ამა წლის პირველ სექტემბრიდან პარალელური განყოფილებანი ქალაქის შემდეგ პირველ დაწყებით სკოლებში: ვერის მეორე სკოლასა, კუკიის მესამე სკოლასა, ავლაბრის საქალებო სკოლასა, ავლაბრის მეორე, ვერის საქალებო და სოლოლაკის სკოლასთან. ამასთან კომისიამ დაადგინა, სთხოვოს ქალაქის გამგეობას, შეიტანოს მიმდინარე წლის დამატებით აღრიცხვაში განყოფილების მოსაწყობად 2100 მან. და შესანახად ყოველ წლობით 2120 მან., აგრეთვე სთხოვოს გამგეობას, გადასდოს ყოველ წლობით 6360 მ. შეუძლებელ მცხოვრებთა შვილებისათვის სკოლების დასაარსებლად.

◆ გუშინ ტფილისის გუბერნატორმა მისწერა ქალაქის გამგეობას, დააჩქარეთ საბჭოს 1900 წლის დადგენილების განხორციელება რიყის ქუჩისა და დესიმონოვის მოედნის **ნაპირების გამაგრების** შესახებაო.

◆ ტფილისის ქალაქის სამხედრო ბეგრის საკრებულო ამ დღეებში უკვე შეუდგა იმ ახალგაზრდა ყმაწვილ კაცთა სიების შედგენას, რომელნიც **კენჭის მოსაღებად** მდგომარე წელს უნდა გაიყვანონ.

◆ გუშინწინ, 15 თებერვალს, საქართველოს ექსარხოსი და ეპისკოპოსები ევთიმე და ბენიამინე მცხეთას წავიდნენ **მცხეთის ტაძართან** ორ კლასიან სამრევლო სკოლის დასაარსებლად.

◆ დღეს, 17 თებერვლისთვის, დანიშნულია კავკასიის **სამკურნალო საზოგადოების კრება**. ჩვეულებრივ საქმეებს გარდა კრება რამდენსამე მოხსენებას განიხილავს.

◆ ბელგიის უსახელო საზოგადოებამ 60 000 მანეთად შეიძინა ნაბერეჟნი ქუჩის პირად, მტკვართან, ადგილი ტრამვაისათვის **საელექტრონო სადგურის** ასაგებად. ეს ადგილი საზოგადოებამ შეიძინა გამგეობის წევრის ენფიანჯიანცის მეუღლისაგან. თურმე ეს ადგილი სადაო ყოფილა და მოდავე მხარეს ბოქაულის მეოხებით აუკრძალავს შენობის აგება სადგურისათვის, თუმცა ქალაქის გამგეობამ უკვე დაამტკიცა გეგმა საელექტრონო სადგურისა და ნება მისცა უსახელო საზოგადოებას შეუდგეს სადგურის აგებას. უსახელო საზოგადოების თხოვნით ქალაქის გამგეობამ მისწერა ბოქაულს, რომ იმას უფლება არა აქვს აკრძალოს შენობის აგება, როცა ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილებისაგან უკვე ნება დართულიაო. პოლიციის ბოქაულმა გუშინ პასუხად შემოუთვალა გამგეობას, კავკასიის მთავარმართებლის მიერ 1885 წელს გამოცემულ ცირკულიარის ძალით, მე უფლება მაქვს სადავო ადგილზე შენობის აგება ავკრძალო, ვიდრე მფლობელის უფლებები სავსებით არ იქნება სასამართლოს წესით აღდგენილი და ამიტომ გამგეობის დადგენილება ჩემთვის სავალდებულო არ არისო.

◆ ტფილისის სასწავლებელთა გამგე კომისიამ 14 თებერვალს თავმჯდომარის წინადადებით ერთ-ხმად დაადგინა, მივიღოთ ყოველივე საშუალება **სკოლებისათვის საკუთარ შენობის ასაგებადაო**. დღემდე ქალაქს არც ერთ სკოლისთვის საკუთარი სახლი არა აქვს.

შინ და გარედ

63.

შინაც და გარედაც ომის ამბებმა ყველა სხვა დღიური ჭირ-ვარამი, ჟამთა სიავე ჩაჩრდილეს. ყველა გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებს იმ საშინელ ტრაგედიას, რომელიც შორეულ-აღმოსავლეთში სწარმოებს, და შინაურ საჭირ-ბოროტო საქმეებისთვის ვინღა მოიცლის?!

ასეთი საერთო ინტერესი სრულიად კანონიერია, რადგან დღევანდელი ომი მეტად დიდმნიშვნელოვანია; მაგრამ არც ის ვარგა, უყურადღებოდ დავტოვოთ საგულისხმიერო შინაური ამბები, რომელთაც შეუძლიათ დიდი ზედ გავლენა იქონიონ ჩვენს ცხოვრებაზე, ჩვენს მომავალზე.

ერთი ასეთი საგულისხმიერო ამბავი ამ დღეებში ამოვიკითხე გაზეთ „კავკაზ“-ში და არ შემიძლია მკითხველს არ გავუზიარო: თვითონაც დარწმუნდება, რომ ამბავი დიდად საყურადღებოა და მეც ნება მქონდა ერთის წუთით მისი ყურადღება მომეშორებინა შორეულ-აღმოსავლეთის ომისათვის...

როგორც მკითხველსაც მოეხსენება, რუსეთში არსებობს **საგლეხო** სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკი; მისი დანიშნულებაა იზრუნოს გლეხთა მიწათ-მფლობელობის გაფართოვებისათვის. ამისათვის ბანკი შეღავათიანის პირობებით სესხს აძლევს იმ გლეხთ და გლეხთა საზოგადოებათ, რომელნიც განიზრახავენ სოფლის მამულის შეძენას. ბანკს რამდენიმე განყოფილება აქვს რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქებში და საკმაო დახმარებას უჩენს გლეხთა იმ ნაწილს, რომელსაც მიწა-წყლის შეძენა შეუძლია.

საგლეხო მიწათ მფლობელობა, როგორც იცით, ჩვენშიაც სუსტია და ჩვენებური გლეხიც საჭიროებს იმგვარსავე დახმარებას, როგორსაც შიდა-რუსეთის გლეხთ აქვთ სახელმწიფო საგლეხო ბანკისაგან. ეს, სხვათა შორის, აღიარა თვით ტფილისის სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა საგუბერნიო კომიტეტმა და დაადგინა, იშუამდგომლოს ამიერკავკასიაში ხსენებულ ბანკის განყოფილების დაარსების შესახებ. ამ დაწესებულების საჭიროება კარგა ხანია შეგნებული ჰქონდა ჩვენს პრესსასაც, ჩვენის საზოგადოების მოთავეთაც, მაგრამ ჩვეულებრივმა დაუდევრობამ გვძლია და საჭიროების დასაკმაყოფილებლად ხელი არ გაგვინძრევია. როგორც ყოველთვის და როგორც სხვა საქმეშიაც, ამ შემთხვევაშიაც მთავრობას ვუცდიდით, მარტო მისგან ველოდით შველას. მიუხედავად იმისა, რომ თვით მთავრობა მუდამ იმას ურჩევს საზოგადოებას, — ეკონომიურ ვითარების გასაუმჯობესებლად საკუთარი ინიციატივა, თვითმოქმედება გამოიჩინეო, ჩვენ მაინც მას შევყურებდით ხელში და დახმარებას ვემუდარებოდით... განა არ შეიძლებოდა, მაგალითად, ჩვენებურ გლეხთა მიწათ-მფლობელობის გასაძლიერებლად რაიმე პრაქტიკული საქმე თვით ჩვენვე მოგვეწყო? განა არ შეიძლებოდა თუნდ ამხანაგობა დაგვეარსებინა სათავად-აზნაურო ბანკებში დაგირავებულ მამულების შესაძენად და შემდეგ გლეხებისთვის მისაყიდათ? რასაკვირველია, შეიძლებოდა ამ დიდის საქმის ჩვენდა სასარგებლოდ მოწყობა, მაგრამ, მაგარიც ის არის, რომ, — რუსების თქმისა არ იყოს, — „პირჯვარს არ დავიწერთ, სანამ მეხი არ გავარდება“...

მაპატიეთ, ცოტა საგანს ავცდი: მე მინდოდა „კავკაზ“-ში მოთხრობილი საგულისხმიერო ამბავი გადმომეცა და მის მაგიერ კომენტარიებმა გამიტაცეს, თუმცა არც ჩემი განმარტება იყო მეტი როგორც თვით მკითხველი დაინახავს. აი, ის ამბავიც:

საგლეხო სახელმწიფო ბანკის განყოფილება, სხვათა შორის, ეკატერინოდარშიაც არსებობს. ამ დღეებში ხსენებულს განყოფილებას, „კავკაზ“-ის სიტყვით, პეტერბურგი

დეშიმაზე, ნაგასაკის მთავრობის ზედამხედველობის ქვეშ. იაპონიის მთავრობის ეს ბრძანება იყო ნიშანი უცხოელების განდევნისა იაპონიიდან.

ევროპიელ ვაჭრებს იმ თავითვე დასჩემდათ შუღლი და მტრობა ერთმანეთ შორის. ერთი რომ მოახერხებდა ფეხის მომაგრებას უნდოთ განწყობილ უცხო ქვეყანაში, მეორე მას ძირს უგებდა — სცდილობდა იგი განეძევა და მის ადგილას თვითონ ჩამდგარიყო. ვაჭრების ასეთი საქციელი რა გასაკვირველია, როცა კათოლიკე ეკკლესიის სხვა და სხვა ორდენები ერთმანერთს ეკინკლავებოდნენ — არა მე უნდა გავავრცელო აქ ქრისტიანობა და არა შენ, თითქოს ქრისტეს მცნება სავაჭრო საქონელი იყო!

იაპონიაში ერთმანერთს ეცილებოდნენ ჰოლანდიელები პორტუგალიელები და ინგლისელები. რადგან ინგლისის ერთ სავაჭრო კამპანიამაც გაიჩინა თავისი აგენტი ფირანდოში და მანაც მიიღო სხვა და სხვა უპირატესობანი სავაჭრო საქმეში, ჰოლანდიელები სულ იმის ცდაში იყვნენ, ინგლისელები თავიდან მოეშორებია და, რაკი სხვა გზით ვერას გახდნენ, ძალადობას დაადგნენ. იაპონელები რომ არ ჩარეულიყვნენ საქმეში, ყველა ინგლისელებს გასწყვეტდნენ.

ევროპიელების საბოლოო გაძევებამდე (1641 წ.) ჰოლანდიელებმა იმდენი მოახერხეს იაპონიის მთავრობასთან, რომ 1637 წელს შემდეგი ბრძანება გამოვიდა: დეშიმაში მხოლოდ ჰოლანდიელებსა და ჩინელებს აქვთ ვაჭრობის უფლება, დანარჩენი უცხოელები ყველა გაძევებულია იაპონიის ტერიტორიიდანო. მეტად დამახასიათებელია ამ ბრძანების ზოგი მუხლი:

„არც ერთ იაპონელ გემს და არც ერთ იაპონელს უფლება არა აქვს იაპონიიდან სადმე წავიდეს. ვინც ამ ბრძანებას დაარღვევს, სიკვდილით დაისჯება. — ყოველი იაპონელი, უცხოეთიდან დაბრუნებული, სიკვდილით დაისჯება. — ვინც ქრისტიან მღვდელს ან უბრალო ქრისტიანს აღმოაჩენს, ჯილდოდ ამდენსა და ამდენ ფულს მიიღებსო. — ვინც ქრისტიანობას მიიღებს ან ქრისტიანის დამამდაბლებელ სახელს ატარებს, ციხეში ჩაისმება. — ვინც უცხოეთიდან წერილს მოიტანს ან გაძევების შემდეგ დაბრუნდება, სიკვდილით დაისჯება მთელ თავის ოჯახთან ერთად; იგივე სასჯელი მოელის ყველას, ვინც ზემოდ აღნიშნულ პირების პატივებას ითხოვს“... (ეს ცნობები ამოღებულია histoire générale“-დან).

ასეთი წესი არსებობდა იაპონიაში 1853 წლამდე, როცა აქ მოვიდა გემით ამერიკელი კაპიტანი მათიუ პერრი და ქ. კანაგავაში დაიდო პირველი ხელშეკრულობა იაპონიისა და ევროპიელ სახელმწიფოს შუა.

ამ დროიდან იწყება იაპონიის ხალხის განსაცვიფრებელი გამოღვიძება და გამოფხიზლება. განჩნდნენ შეგნებული პირები, რომელთაც კარგად ესმოდათ კარჩაკეტილობის დამღუპველი მნიშვნელობა ხალხისთვის და თავგანწირულებით შეუდგნენ მის წინააღმდეგ ბრძოლას; ეს ბრძოლა თავგანწირული იყო, რადგან ასეთი მოღვაწე ხშირად ხდებოდა ბრბოს ფანატიკოსობის მსხვერპლი. ასეთ პირებისა და ევროპის ვაჭრების წყალობით იაპონიამ კარი გაუღო ევროპის კულტურას, ხარბად დაეწაფა მის განმაცხოველებელ ძალას და დღეს იაპონელი გვერდში ამოუდგა ევროპიელს როგორც სწორი სწორს.

W

დან ფრიად მნიშვნელოვანი ცნობა მოსულია, რომელიც შეეხება ეკატერინოდარის განყოფილების მოქმედებათა გავრცელებას ამიერ-კავკასიაზე. ამას წინად შინაგან საქმეთა სამინისტრო შეჰკითხებია ფინანსთა სამინისტროს: შეიძლება თუ არა საგლეხო სახელმწიფო ბანკის ეკატერინოდარის განყოფილებას დაევალოს ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში შეიძინოს თავად-აზნაურთა ის მამულები, რომელნიც სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკში აქვთ თავად-აზნაურთ დაგირავებული და რომელნიც საჯარო ვაჭრობის შემდეგ ბანკს დარჩენია? ეს ადგილებიკი შემდეგ უნდა მიეყიდოს შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულ და გადმოსასახლებელ რუსის გლეხთაო. ფინანსთა სამინისტროს განუხილავს ეს საქმე, მოუწონებია შინაგან საქმეთა სამინისტროს განზრახვა და უკვე წინადადებაც მიუცია სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისათვის: ამიერ-კავკასიაში რაც სათავად-აზნაურო ბანკს მამულები დარჩება, უმთავრესად (преимущественно) შიდა რუსეთის გლეხთ მიჰყიდეთო, რათა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში რუსის გლეხთა მოსახლეობა გაძლიერდესო. ხოლო თუ ხსენებულ გლეხთ, ხელ-მოკლეობის გამო, ვერ შესძლეს მამულების ყიდვა, ეკატერინოდარის განყოფილებას ევალება თავის საშუალებით დაეხმაროს გლეხთ, თანახმად საგლეხო სახელმწიფო ბანკის წესდებისა.

ასეთია ის საგულისხმიერო ამბავი, რომელზედაც მე მინდოდა მკითხველ საზოგადოების ყურადღება მიმექცია. ნუ-თუ ჩემი საყვედური ჩვენებურ დაუდევრობის შესახებ მართალი არ არის და ნუ-თუ ჩვენი ვალი არ იყო, ჩვენებურ გლეხთა მიწათ-მფლობელობის გაფართოვებაზე გვეზრუნა? არც ეხლაა გვიან, თუ ჩვეულებრივს ძილსა და დაუდევრობას უკუვაგდებთ...

გან

დურგალთა ამხანაგობის „შრომის“ კრება

15 თებერვალს მოხდა კრება ტფილისის დურგალთა ამხანაგობისა. თუმცა ეს კრება მეორედ იყო დანიშნული, ამასთან კვირაც იყო, მაგრამ მაინც ნაშუადღევის 3 საათამდე 20-მდე კაცი ძლივს გამოცხადდა. კრებამ თავმჯდომარედ ამოარჩია ომან ღვალიშვილი და მდივნად ბ-ნი ტყავაძე. კრებამ პირველად განიხილა ქარხნის 1903 წლის მოქმედების ანგარიში. წინა წლებთან შედარებით, საანგარიშო წელს ამხანაგობის საქმე კარგად წასულა. საანგარიშო წელს გამგეობას შეკვეთილ საქმეებისთვის მასალის შესაძენად დაუხარჯავს 2,100 მან. 67 კაპ., დამზადებულა ავეჯეულობა 8001 მან. 68 კაპეიკისა, მევალეებისა არის 566 მან. 91 კაპ. მოგება 807 მან. 41 კაპ. ყოფილა. ალებ-მიმცემობითი წარმოება ამხანაგობისა წასულ წელს გამოიხატა 27,913 მან. 94 კაპ. 1904 წლის პირველ იანვრისათვის ამხანაგობას ჰქონია: დახლში ნაღდი ფული 74 მან. 86 კაპ., ქარხანაში დაუმთავრებელი ავეჯი—155 მან. 50 კაპ., მაღაზიაში გასასყიდად დამზადებული—1393 მან, იარაღი და მოწყობილება ქარხნისა—532 მან. მოვალეებზედ არის—510 მან. 52 კაპ. და სხვა, სულ 2828 მან, 15 კაპ. 1903 წლის 23 თებერვლიდან 31 დეკემბრამდე ამხანაგობას შემოსავალი ჰქონია—8071 მან. 42 კაპ. აქედან მასალისთვის დახარჯულა—2100 მან. 67 კაპ. გამგეობის ჯამაგირად—1123 მან. 50 კაპ., მომუშავეებს—2608 მან. 3 კაპ., პურის ფულად შეგირდებს—715 მან., ქირა მაღაზიისა და ქარხნის სადგომისათვის—673 მან. 25 კაპ. და სულ დახარჯულა 7461 მან. 76 კაპ. და წმინდა დარჩენილა 609 მან. 65 კაპ. ანგარიშის მოხსენების შემდეგ ი. მაჭავარიანმა შენიშნა, რომ, ჩემის აზრით, გამგეობის მიერ ნაჩვენები მოგება 609 მან. ნამდვილი არ არისო. ამის დასასაბუთებლად მაჭავარიანმა ჩამოთვალა რამდენიმე ნივთი დამზადებულ ავეჯეულობიდან და აღნიშნა, რომ ეს ნივთები ღირებულებაზე მეტად არის დაფასებული; ჩვენ რომ ეს ნივთები ნამდვილ ფასებში მივიღოთ, მოგება ერთი კაპეიკიც არ გვექნებაო. დამფასებელ კომისიის წევრმა ელიკაშვილმა განუმარტა კრებას, რომ მაჭავარიანის აზრი შეცდომაა: ჩვენ, დამფასებლებს, დაფასების დროს ძველის წესით არ გვიხელმძღვანელნია და თითოეულს ნივთს ის ფასი დავადეთ, როგორც დაფასების დროს ღირდაო. ამ საგანმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. დასასრულ კრებამ მიიღო შემდეგი წინადადება: ავეჯეულობის ფასები თითოსი ცალკე უნდა იქნას მიღებული, ისე როგორც ეს დამფასებელ კომისიას აქვსო. შემდეგ კრებამ დაამტკიცა შეუცვლელად წარსულ წლის ანგარიში.

ბ-ნმა თოიძემ ლაპარაკი ჩამოაგდო ამხანაგობის საქმეების გასაძლიერებლად საჭირო თანხის მოპოვების შესახებ. საქმე ის არის, რომ ამხანაგობის მეცადინეობით, საზოგადოებამ გაიგო, რომ დურგალთა ამხანაგობა თავის ქარხანაში ამზადებს საუკეთესო ავეჯეულობას როგორც სიმკვიდრისა და სიმაგრისა, ისე სისუფთავისა და სილამაზის მხრითაც, ამიტომ, გარდა კერძო პირ[illegible] დაწესებულებანიც უკვეთავენ სამუშა[illegible] ამხანაგობა ვერ ასდის საქმეს, რადგან მასალისა და სხვა საჭირო საქმეებისათვის საწარმოვო თანხა არა აქვს. გამგეობასაო, განაცხადა ბ-ნმა თოიძემ, ბევრჯელ ჰქონია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ჯერ ვერავითარი წყარო ვერ გამოგვიძებნია. ჩემის აზრითაო, განაგრძო გამგეობის თავმჯდომარემ კარგი იქნება ცოტაოდენ თანხის მოსაპოვებლად ასე მოვიქცეთ: ვთხოვოთ ამხანაგობის წევრებს, აიღონ კიდევ რამდენიმე პაი, ხოლო იმ წევრებმა, რომელთაც პაის ფული 25 მან. სრულად არა აქვთ შემოტანილი, ჯერ ეს შეასრულონ და მერე მათაც მეტის პაების აღებით ხელი შეუწყონ ამხანაგობის საწარმოვო თანხის გაძლიერებასაო. ამასთანავე თოიძემ წინადადება მისცა კრებას, მოგების უმეტესი ნაწილი გადადებულ იქნას აღნიშნულ თანხის გასაძლიერებლადაო. ამ წინადადებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ბოლოს სამი წინადადებას წარუდგინეს კრებას: 1. წარსულის წლის მოგება გარდა 5 პროცენტისა, რომელიც სათადარიგო თანხის გასაძლიერებლად უნდა გადავიდეს, უნდა განაწილდეს ყველა პაებზე, როგორც სარგებელი წევრებისათვის; 2. მოგებიდან 20% მიეცეს გამგეობის წევრთ გასამრჯელო, 15% ქარხანაში მომუშავე მუშებს, 5% სათადარიგო თანხას მიემატოს, ხოლო 60% განაწილდეს პაებზე ისე, რომ ეს ფული დარჩეს ამხანაგობაში საწარმოვო თანხის გასაძლიერებლად და 3 5% მიემატოს სათადარიგო თანხას, 10% იარაღების შესაძენ და შესაკეთებელ თანხის გასაძლიერებლად გადაიდოს, 30% მიეცეს გამგეობის წევრთ, 15% ქარხანაში მომუშავეთ, 5% კომისიის წევრებს, ხოლო დანარჩენი 35% პაიებზედ გაიყოსო. კენჭის ყრით კრებამ შეუცვლელად მიიღო მეორე წინადადება. ამხანაგობის საწარმოვო თანხის გასაძლიერებლად წყაროს გამონახვის შესახებ კამათის დროს საზოგადოების წევრმა ს. ტარიელაშვილმა კრებას გააცნო ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ბანკის გამგეობისადმი მოწერილების შინაარსი. ამ მოწერილების ძალით სახელმწიფო ბანკი და მისი განყოფილებანი აძლევენ სესხს შემნახველ და გამსესხებელ, სამრეწველო და სხვა ამგვარ ამხანაგობებს. მე-4 მუხლის თანახმად, ყველა სამრეწველო ამხანაგობას სახელმწიფო ბანკი მისცემს სესხს. ამისათვის ამხანაგობამ უნდა წარუდგინოს ბანკს ანგარიში უკანასკნელ წლისა, პირი წესდებისა და მოწმობა, თუ როდიდან დაიწყო მოქმედება ამხანაგობამ. ამხანაგობას სესხი მიეცემა 9 თვის ვადით. კრებამ მიიღო წინადადება ტარიელაშვილისა და დაადგინა, დაავალოს გამგეობას აღძრას შუამდგომლობა სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების წინაშე სესხის მიცემის შესახებ. შემდეგ გამგეობის თავმჯდომარემ წარუდგინა კრებას პროექტი ინსტრუქციისა გამგეობის სახელმძღვანელოდ. ზოგიერთებმა შეუძლებლად სცნეს საჯარო კრებაზე პროექტის საფუძვლიანად განხილვა და ითხოვეს ამ საგნის კომისიისთვის გადაცემა. კრებამ მიიღო ეს წინადადება. რადგან გვიან იყო, თავმჯდომარის წინადადებისამებრ, კრებამ დაადგინა, გამგეობისა, სარევიზიო კომისიისა, დამფასებელ კომისიისა და ახალ წევრების არჩევანი გადაიდოს 22 თებერვლისათვის.

თეატრი

სადიდმარხვოდ ქართველ მსახიობებს შეუდგენიათ ამხანაგობა, რომელიც გამართავს წარმოდგენებს როგორც სათავად-აზნაურო, ისე საარტისტო საზოგადოების თეატრებში. ამხანაგობაში არიან შემდეგი მსახიობნი: ქ-ნი ნ. გაბუნია-ცაგარელი, ალ. კარგარეთელი, ნ. დავითაშვილი, ნატ. ჯავახიშვილი, ბ. რონელი, ბ-ნნი ვ. აბაშიძე, კ. ყიფიანი, ვ. გუნია, გ. გედევანოვი, კ. შათირიშვილი, სვ. სვიმონიძე, ვ. შალიკაშვილი და სხვანი. ამხანაგობა პირველ წარმოდგენას გამართავს სათავად-აზნაურო თეატრში კვირას, 22 თებერვალს; წარმოადგენენ თავ. ალ. სუმბათაშვილის პიესას „ღალატს“. წარმოსადგენად დანიშნული პიესები თითქმის სულ ახლებია და, მათ შორის, ყურადღების ღირსია „საქმის კაცი“ ოქტ. მირბოსი და „ცხოვრების გარედ“ პროტოპოპოვისა.

რუსეთის ქრონიკა

✦ ოდესის გრადონაჩალნიკმა შემდეგი დადგენილება გამოაცხადა: აკრძალულია კერძო სადგომებსა და სახლებში ყოველგვარი კრება და ბჭობა, რომელიც საზოგადოებრივ მშვიდობიანობისა და სახელმწიფო წესის საწინააღმდეგოდ იქნება გამართული. ვინც ამგვარ კრებებში მონაწილეობას მიიღებს და აგრეთვე სადგომის პატრონი ადმინისტრატიულის წესით ან სამ თვემდე დაპატიმრებული იქნება, ანაც 500 მანეთამდე ჯარიმა გადახდებათ. („ვედ. ოდეს. გრად.“).

✦ გოროდსკის მაზრაში, სოფელ კლიუშევოში გლეხის სმოგორჟევის სახლში, ღამე, ოთხი კაცი შევარდნილა, სმოგორჟევი და იმისი ცოლი უწამებიათ და იატაკ ქვეშ შეუყრიათ. მოხუც დედაკაცს ბოროტ-განმზრახველთა შორის თავისი ღვიძლი შვილი უცვნია და შებრალება უთხოვნია, მაგრამ შვილმა თავისი დედა მაშინვე ცულით მოჰკლა თურმე. პასუხისგებაში მიუციათ მოკლულის შვილი, შვილის-შვილი და ძმის წული. („ნოვოსტი“).

✦ ამას წინად მიწათ-მოქმედების მინისტრის, სტატს-სეკრეტრის ერმოლოვის თავმჯდომარეობით მოხდა კრება, სადაც მიწათმოქმედების სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის შემცირებაზე იყო ლაპარაკი. („კასპი“).

✦ 6 თებერვლამდე რუს დაჭრილ და ავადმყოფ ჯარის კაცთა სასარგებლოდ წითელის ჯვრის მთავარ გამგეობაში შემოსულა სულ 1.220.743 მან. 7 კაპ.

✦ პოლკოვნიკ მაქსიმოვ-კანდუროვის ქალი—ქალ. პუსენი სამხედრო მინისტრის ბრძანებით 1 მსროლელთა პოლკში ჯარის კაცად ჩაირიცხა და ამ დღეებში შორეულ-აღმოსავლეთში მიდის.

✦ ოდესაში შეკრებილა 400-დე „ბოსიაკ“-ი, ნავთ-სადგურის ბოქაულთან მისულან და უთხოვნიათ, შორეულ-აღმოსავლეთში საბრძოლველად გაგვგზავნეთო. („ოდ. ნოვ.“).

✦ „ოდეს. ნოვოსტ“-ში დაბეჭდილია სენატის განმარტება შესახებ მთავრობის წინააღმდეგობის გაწევისა: „ვინმე დიორდეცს სამოსამართლო პალატამ 2 თვით დაპატიმრება მიუსაჯა იმისთვის, რომ დიორდეცმა თავის სახლში არ შეუშვა პოლიცია, რომელსაც სახლი უნდა გაეჩხრიკა, სადაც, როგორც ეგონა, საეჭვო კაცი იმალებოდა. სენატმა ეს საქმე გაარჩია და განმარტა, რომ დიორდეცს პოლიციისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევია, ამ შემთხვევაში პოლიციის ქცევა არ შეეფერებოდა კანონიერ გაჩხრეკას, რადგან პოლიციელები დავალებულნი არ იყვნენ დიორდეცის სახლი გაეჩხრიკათო. სენატმა პალატის დადგენილება გააუქმა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 თებერვალი

პეტერბურგი. პლოცკის კათოლიკეთა ეპისკოპოსს შემბეკს ებრძანა, იყოს მოგილევის არქიეპისკოპოსად და კათოლიკეთა ეკლესიების მიტროპოლიტად.

16 თებერვალი

ბერლინი. გერმანია-იტალიის ახალი სავაჭრო ხელშეკრულება სრულის შეთანხმებით გათავდა.— საღამოს იმპერატორი კილში მიდის პრინც ჰენრიხის შვილის დასაფლავებაზე დასასწრებლად. კილიდან ოლდენბურგში წავა.

სტამბოლი. დააპატიმრეს გაზეთის გამომცემელი, რამდენიმე თანამშრომელი და დიდი ვეზირის მოხელეები, რომელთაც ორი წლის განმავლობაში საზღვარ-გარედ ოსმალეთის საელჩოს ყალბი დიპლომების დარიგება ჰბრალდებათ. აქამდის 90 ყალბი დიპლომი აღმოაჩინეს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

სასტუმრო **იალტა** ნომრებით

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქ. კუთხეში. სადილი **ორი** თავით, ჭიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 50 კ. უსასმელებოთ და უყავოთ 30 კ. სადილი **სამი** თავით, ჭიქა არაყით, ½-ბოთ. ღვინით და ფინჯანი ყავით 75 კ. ღვინო ბოთლი 30 კ. და ძვირფასიც. თვიურათ იაფათ და ეძლევათ აბონიმენტები. სადილაა 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ.

(88—52—4)

ყვირილის თეატრის ამხანაგობის

გამგეობა

აცხადებს, რომ 20 თებრვალს, დღით პარასკევს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია საგანგებო საზოგადო კრება ყვირილის ნორმალურ სკოლის დარბაზში ყვირილის თეატრის ამხანაგობისა. განსახილველი საგანია: მოიჯარადრე ს. ცერცვაძის პირობის განხილვა. მოსაწვევი კერძო წერილები წევრებს აღარ გაეგზავნებათ.

(3—3)

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის

წლიური კრების

გაგრძელება

დანიშნულია 22 თებერვლისთვის დილის 10 საათზე ამხანაგობის სადგომში, მიხეილის ქუჩ. სახლი № 156.

განსახილველი საგნები:

1) გამგეობის მოხსენებანი,
2) არჩევანი თანამდებობის პირთა,
2) არჩევანი ახალ წევრთა.

გამგეობის თავმჯდომარე გ. **თოიძე.**

(1—1)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვითა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ГЛАВНОЕ КАВКАЗСКОЕ АГЕНТСТВО

О—ва Граммофонъ въ Россій

Тифлисъ, Головинскій просп. домъ Абіянца № 7.

Телеграф. адресъ:

Тифлисъ

«ГРАММО-КОМПАНІЯ»

(Телефонъ № 69).



Большой выборъ: самыхъ усовершенствованныхъ салонныхъ и концертныхъ Граммофоновъ.

Громадный выборъ: безшумныхъ пластинокъ знаменинныхъ извѣстныхъ невцовъ какъ-то:

Русскихъ, Грузинскихъ, Татарскихъ, Персидскихъ, Турецкихъ, Польскихъ, Французскихъ, Англійскихъ, Италіанскихъ, Нѣмецкихъ и проч.

При выборѣ пластинокъ, просимъ обращать вниманіе на наше фабричное клеймо „Пишущій Ангелъ», безъ котораго пластинки безусловно поддѣлка.

При складѣ имѣется специальная мастерская, въ конторой могутъ быть въ случаѣ надобности, исправляемый граммофоны.

За правильный ходъ Граммофоновъ выдается ручательство на три года.

Упаковка товара производится за счетъ покупателя.

пересылка аппаратовъ на всѣ станціи ж. д. въ предѣлахъ европейск. Рос (Лѣтомъ включая пристани водныхъ путей) производится скла за свой счетъ.

почтовая пересылка принимается складомъ на свой счетъ въ полови номъ размѣрѣ.

По воскреснымъ днямъ магазинъ закрытъ· Въ другіе дни открытъ отъ 8½ ч. утр до 9 ч. вечера.

Требуйте иллюстрирован. каталоги. Гг. оптовымъ покупателямъ высылаются новы прейсъ-куранты по востребованію.

(10—3)

Тифлисъ 16 февраля 1904 г. ელექტრონის სტამბა, ქართ. ამხ—ის წიგნების გამომც. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва.